1. ინტერნეტ მომსახურების (ოპტიკურ-ბოჭკოვანი არხით)

სახელმწიფო შესყიდვა,

ელექტრონული ტენდერის*

*-ელექტრონული ტენდერი აბრევიატურით SPA

სატენდერო დოკუმენტაცია

(წინამდებარე დოკუმენტაციაში მოცემულია შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ელექტრონულად შესავსები სატენდერო პირობები)

კლასიფიკატორის (CPV) კოდი №72400000 - ინტერნეტ მომსახურებები

თბილისი

2022 წელი

2. ტექნიკური მოთხოვნები, როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

პრეტენდენტმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

ა) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონულად ხელმოწერილი (იხ. დანართი N1) მომსახურების ერთეულის (ერთი თვის) და საერთო ფასები *(აღნიშნულის წარმოუდგენლობა დაზუსტებას არ დაექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდეტის დისკვალიფიკაციას)* ***სატენდერო წინადადებაში ერთეულის და საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა გადასახადისა და სხვა ხარჯების გათვალისწინებით.***

ბ) პრეტენდენტის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პრეტენდენტს განხორციელებული უნდა ფქონდეს *ინტერნეტ მომსახურება არანაკლებ 5 (ხუთი) ობიექტზე (ორგანიზაციაზე)*, **რომლის საერთო (ჯამური) ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ - 50 000 (ორმოცდაათიათასი) ლარს.** პრეტენდენტმა, გამოცდილების დასადასტურებლად, უნდა წარმოადგინოს (სისტემაში ატვირთოს, გაფორებული ხელშეკრულებ(ებ)ის ასლ(ებ)ი, ასევე გაწეული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლ(ებ)ი. მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და სხვა შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება შესაბამისი მომსახურების გაწევა) - იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტის მიერ გაწეული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაცია განთავსებულია შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (https://tenders.procurement.gov.ge/) მაშინ პრეტენდენტის მიერ შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას შესაბამისი SPA, NAT და/ან CMR ნომრები. - **გამოცდილების არ ქონა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.**

გ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ხელმძღვანელის და საკონტაქტო პირის სახელი და გვარი და საბანკო რეკვიზიტები - აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში პრეტენდენტის პროფილში არ არის და/ან არასრულად არის შევსებული შესაბამისი ინფორმაცია.

შენიშვნა:

- ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მას უნდა დაერთოს სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი.
- შესყიდვის ობიექტის სპეციფიკური ტექნიკური აღწერილობა შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ინგლისურ ენაზე.
- სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტები და/ან ინფორმაცია (რომელიც ითვალისწინებს ხელმოწერას) უნდა იქნას ელექტრონულად ხელმოწერილი შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ ან დამოწმებული კვალიფიციური ელექტრონული შტამპით, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.
- შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებული არარეზიდენტი მომხმარებლები განთავისუფლებულები არიან „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებისაგან იხ. საქართველოს მთავრობის განკარგულება.
- **პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.**
- შესყიდვის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით (ვინაიდან აღნიშნული შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ინტერნეტ მომსახურება), ინტერნეტ პროვაიდერმა ორგანიზაციამ შესაძლებელია შესაბამისი ინტერნეტ მომსახურება განახორციელოს საბაზრო ღირებულებასთან შედარებით დაბალ ფასად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრეტენდენტის მიერ სისტემაში შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებასთან 20%-ით ან მეტით დაბალი საბოლოო ფასის დაფიქსირების შემთხვევაში არ წარმოეშვება ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულება.
- სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებებისა და დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მოდულის „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით შესაბამის ტენდერში „ტენდერი გამოცხადებულია“ სტატუსის მინიჭებიდან „წინადადების მიღება დასრულებულია“ სტატუსის მინიჭებამდე არაუგვიანეს 24 საათისა.
- ტენდერთან დაკავშირებული განმარტებისა და დამატებითი ინფორმაციის დაზუსტება/განმარტება განხორციელდება გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2 საათისა შესაბამის ტენდერში „წინადადების მიღება დასრულებულია“ სტატუსის მინიჭებამდე.
- ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი დაზუსტება/განმარტება განხორციელდება გონივრულ ვადაში, შესაბამის ტენდერში „შერჩევა/შეფასების“ სტატუსის მინიჭებიდან „ხელშეკრულება დადებულია“ სტატუსის მინიჭებამდე.
- სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებებისა და დამატებითი ინფორმაციის გაცეაზე უფლებამოსილი პირია სატენდერო კომისიის აპარატის წევრი - გიორგი ფირცხალავა, ტელ: 2 40 91 45 - შესყიდვების სამსახურის შესყიდვების სპეციალისტი;

3. გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი ტექნიკური დავალება

- შესყიდვის ობიექტია: ინტერნეტ მომსახურების (ოპტიკურ-ბოჭკოვანი არხით) სახელმწიფო შესყიდვა.
- **800 მბ/წმ** - გლობალური არხი, **4000 მბ/წმ** - ლოკალური, გარანტირებული სიჩქარით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი არხით უზრუნველყოფა.
- - გამარჯვებულ კომპანია ვალდებულია, შემსიდველს მიაწოდოს ოპტიკური კაბელი ორი დამოუკიდებელი არხით (კაბელით) (რომ არ მოხდეს მაუწყებლისთვის მომსახურეობის შეჩერება, კაბელის დაზიანების შემთხვევაში) , რომელიც მოახდენს ინტერნეტ კაბელებზე ინტერნეტ ტრაფიკის მარშუტიზაციას. თითო არხში (კაბელში) უნდა იყოს 2 წყვილის (ჟილის) შეერთება და თითო ხაზში (ჟილაში) არანაკლებ 200 მბ/წმ - გლობალური არხი, 1000 მბ/წმ - ლოკალური არხი, გარანტირებული სიჩქარე. ასევე შესაძლებლობა უნდა იყოს თითო არხიდან (კაბელიდან) შემოსული ორი წყვილის (ჟილის) გაერთიანების/დაჯამების, რაც მაუწყებელს მიცემს შესაძლებლობას ერთ არხში (კაბელში) გაატაროს 2000 მბ/წმ ლოკალური შეერთება და 400 მბ/წმ გლობალური შეერთება. ასევე შემდგომში დამკვეთის მხრიდან წინასწარ გაფრთხილების საფუძველზე (როგორც წერილობით, ასევე სატელეფონო შეტყობინებით) შესაძლებელი უნდა იყოს გამარჯვებული კომპანიის მიერ, შემდგომში მოწოდებული 4 არხის აგრეგაციის საშუალება (რაც გულისხმობს როგორც ფიზიკური არხების გადანაცვლება/გაერთიანებას, ასევე მოწოდებული სიჩქარეების გადანაცვლება/გაერთიანებას - რაც არ გამოიწვევს ჯამური ინტერნეტ სიჩქარის მატებას) შესაძლო ცვლილებების განხორციელება გამარჯვებული კომპანიის მიერ უნდა მოხდეს, შეტყობინების მიღებიდან არანაკლებ 14 კალენდარული დღისა. **შესაძლო ცვლილებების სრული ხარჯებს და შემსყიდველის მხარეს არსებულ კომუტატორზე ინტერნეტ ხაზის მიერთებისთვის ყველა საჭირო მოწყობილობის მოწოდებას და შეერთებისთვის საჭირო სხვა ხარჯებს აანაზღაურებს მიმწოდებეილი.**
- **შემსყიდველის მხარეს არსებულ კომუტატორზე ინტერნეტ ხაზის მიერთებისთვის ყველა საჭირო მოწყობილობის მოწოდებას და შეერთებისთვის საჭირო სხვა ხარჯებს აანაზღაურებს მიმწოდებეილი.**
- მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ერთი ხაზით (ჟილით) არანაკლებ **20** გლობალური IP მისამართის მოწოდება (IP მისამართების რაოდენობა ოთხივე ხაზში (ჟილაში) უნდა იყოს **არანაკლებ** - **80**)
- ინტერნეტ მომსახურება უნდა განხორციელდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ იურიდიულ მისამართზე **ქ. თბილისი კოსტავას №68.**
- ტენდერში გამარჯვებულმა საჭიროების შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული სამონტაჟო სამუშაოები და ინსტალაცია* შემსყიდველის იურიდიულ მისამართზე (ქ. თბილისი კოსტავას ქ. №68)
- * - ერთი ოპტიკური ხაზის (ან პორტის) დაზიანების შემთხვევაში უნდა ხდებოდეს ავტომატურად მინიმალური (**ერთი პინგის ჩავარდნა**) დაყოვნებით გადართვა. გამარჯვებული კომპანია პასუხისმგებელია L3 დონეზე ორივე ინტერნეტ არხის (ან ხაზის) დაპროექტებაზე **(Border Gateway Protocol - BGP სესიის გამართვა გაშვება).** ასევე პასუხისმგებელია პროვაიდერის მხარეს წყვილების (ჟილების) გაერთიანება/დაჯამების. ინტერნეტ კაბელების ფიზიკური დაერთება უნდა განხორციელდეს ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელის გამანაწილებლით (ODF), რომლის მოწოდება და მონტაჟი მომწოდებელმა უნდა განახორციელოს საკუთარი ხარჯებით, ასევე ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელის გამანაწილებლიდან (ODF -იდან) ოპტიკური კაბელით დაერთება (patch cord) მაუწყებლის საკუთრებაში არსებულ კომუტატორთან უნდა მოახდინოს საკუთარი ხარჯებით.
- ტენდერში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს, ინტერნეტ მომსახურების საჭირო ყველა მოწყობილობების მონტაჟი/ინსტალაცია ქ. თბილისში კოსტავას ქ. №68-ში **(აღნიშნული მოწყობილობები მომსახურების პერიოდში და მომსახურების დასრულების შემდეგ რჩება მიმწოდებლის საკუთრებაში).**
- ინტერნეტით მომსახურება უნდა განხორციელდეს შეუზღუდავად დღე-ღამეში 24 საათი.

- მომსახურების გაწევის ვადა: 2023 წლის 1 იანვრიდან - 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (12 თვე);
- ტექნიკური მომსახურების ინსტალაცია და გასამართი სამუშაობის უნდა განხორციელდეს 2022 წლის 15 დეკემბრამდე.
- მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მომსახურების პერიოდში შემსყიდველისთვის ინდივიდუალური მენეჯერის გამოყოფა.
- გამარჯვებული კომპანია ვალდებულია საკუთარ ინფრასტრუქტურაში დაგეგმილი ტექნიკური სამუშაოების შესახებ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მაუწყებლის ინტერნეტ სერვისის შესაძლო შეფერხება/შეჩერება, უნდა აცნობოს წერილობით დამკვეთს არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.
- აუცილებელია პროვაიდერის მხრიდან ხდებოდეს ინტერნეტ ტრაფიკის მუდმივი მონიტორინგი / რეპორტინგი, 24/7. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს რეპორტინგის დაუყოვნებლივ წარდგენა.
- შემსყიდველს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ნებისმიერ დროს შეამოწმოს ინტერნეტ მომსახურების სიჩქარე და ხარისხი. *შემსყიდველი მომსახურების შესრულების პარალელურად განახორციელებს შესყიდვის ობიექტის (გაწეული მომსახურების) შემოწმებას, იმ შემთხვევაში თუ მომსახურების შემოწმების პროცესში აღმოაჩნდება გარკვეული ხარვეზები და მიმწოდებელი ვერ/ან არ უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებას შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის მიღებაზე და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე (შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ).*
- *შესყიდვის ობიექტის შემოწმების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრა.*
- ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, (ყოველთვიურად) მხარეთა შორის მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღეში (***წინასწარი (საავანსო) გადახდა ელექტრონულ ტენდერში არ გამოიყენება).***
- სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყაროა: ***100 % - სახელმწიფო ბიუჯეტი. (2023 წლის სახსრები)***
- **შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა - ლარი.**

დანართი N1 - ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება: _____; მისამართი: _____; ტელ: _____;
ელ. ფოსტა: _____ და საბანკო რეკვიზიტები_____;

N	მომსახურების დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
		თვე	**12**		- ₾

შენიშვნა: პრეტნედენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს მომსახურების ერთეულის და საერთო ფასები საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის და სხვა ხარჯების გათვალისწინებით **(აღნიშნულის წარმოუდგენლობა დაზუსტებას არ დაექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდეტის დისკვალიფიკაციას)**

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

(თანამდებობა და ხელმოწერა*)

*- ფასების ცხრილი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნდა იყოს ელექტრონულად ხელმოწერილი ან/და დამოწმებული უნდა იყოს ელექტრონული შტამპით

4. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ქ. თბილისი **ხელშეკრულება N** 2022 წელი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი (შემდგომში ,,შემსყიდველი") მისი გენერალური დირექტორის თინათინ ბერძენიშვილის სახით და მეორეს მხრივ, ——————————— (შემდგომში ,,მიმწოდებელი") მისი დირექტორის ——————— ———————— სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელქტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

შემსყიდველმა ჩაატარა ელექტრონული ტენდერი (**SPA**----------) ინტერნეტ მომსახურების (ოპტიკურ-ბოჭკოვანი არხით) სახელმწიფო შესყიდვაზე, (კლასიფიკატორის კოდი №72400000 - ინტერნეტ მომსახურებები), რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს მომსახურება შემსყიდველს.

1. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკურულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და სატენდერო წინდადებაზე თანდართული ყველა სხვა დოკუმენტი;.

გ) სატენდერო დოკუმენტაცია;

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

2.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

2.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

2.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ინტერნეტ მომსახურების (ოპტიკურ-ბოჭკოვანი არხით) სახელმწიფო შესყიდვა.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერა მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ——————————————ლარს.

4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

5. გარანტია

5.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5.2 გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" სპეციალურად უფლებამოსილი თანამშრომელ(ებ)ი.

6.2 შემსყიდველი მომსახურების გაწევის პარალელურად განახორციელებს შესყიდვის ობიექტის (გაწეული მომსახურების) ტექნიკურ შემოწმებას, იმ შემთხვევაში თუ მომსახურების გაწევის პერიოდში აღმოაჩნდება გარკვეული ხარვეზები და მიმწოდებელი ვერ/ან არ უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებას შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის მიღებაზე და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე (შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ).

6.3 შესყიდვის ობიექტის შემოწმების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრა.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მიმწოდებელმა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება უნდა განახორციელოს 2023 წლის 1 იანვრიდან - 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (12 თვე).

7.2 ინტერნეტ მომსახურება უნდა განხორციელდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" იურიდიულ მისამართზე ქ. თბილისი კოსტავას №68.

7.3 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად (ყოველთვიურად), შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 5.1 მუხლში მითითებული პირ(ებ)ი.

7.4 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

7.5 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარში

8.2 გადახდის ფორმა - უნაღდო

8.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, ეტაპობრივად მხარეთა შორის მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღეში, ***<u>წინასწარი (საავანსო) გადახდა ელექტრონულ ტენდერში არ გამოიყენება.</u>***

8.4 სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყაროა: <u>100 % - სახელმწიფო ბიუჯეტი (2023 წლის სახსრები)</u>

9. ფასები

9.1 ხელშეკრულებაში განსაზღვრული ფასის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

ა) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში (დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით გაზრდა).

9.2 ფასების ცვლილების შესახებ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

10.2. ამ ხელშრეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით;

10.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. მხარეთა ურთიერთობა

11.1. ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება მხარეთა შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით;

11.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, თუ ამ თარიღიდან რომელი უფრო გვიან დგება.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, სახელშეკრულებო თანხის 3 % ოდენობით, რომლის გადახდა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.

12.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02 %-ის ოდენობით.

12.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში (მათ შორის ვადების დარღვევის შემთხვევაში), აგრეთვე იმ შემთხვევაში თუ მომსახურების პერიოდში მიმწოდებელის მიერ გაწეული მომსახურებაში აღმოჩნდება მნიშვნელოვანი ხარვეზები და შემსყიდველის მიერ ხარვეზის აღმოსაფხვრელად დამატებით განსაზღვრულ ვადაში აღნიშნული ხარვეზები არ იქნება აღმოფხვრილი/გამოსწორებული შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.3 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს 13.1 და 13.2 პუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

13.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.

13.5 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14. გადასახადები და ბაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში.

15. დამატებითი პირობები

15.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

15.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

15.3. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) იდენტურ ეგზემპლიარად, თითო ყოველი მხარისთვის.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"

ქ. თბილისი, კოსტავას ქ. #68
საიდენტიფიკაციო კოდი: 204 858 163

რეკვიზიტები:
დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის ერთიანი ანგარიში
კოდი: TRESGE22

გენერალური დირექტორი
თინათინ ბერძენიშვილი ----------